

დოქტორანტობის კანდიდატთა საყურადღებოდ!!!

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს დოქტორანტურაში შემდეგი სადოქტორო კვლევის პროგრამების განსახორციელებლად:

1. „მიკრობიომის როლი საშვილოსნოს ყელის ნეოპლაზიური პროცესების განვითარებაში“
სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი რიმა ბერიაშვილი
2. „საშვილოსნოს ყელის მეტაპლაზიური პროცესების მოლეკულური თავისებურებები, მიკროგარემოს ცვლილებები და ნეოპლაზიური პროგრესიის რისკი“
სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი გიორგი ბურკაძე
3. „საკუბიტრილ/ვალსარტანის ზეგავლენა ჰემოდინამიკური პარამეტრების ცვლილებაზე და გულ-სისხლძარღვთა სისტემის რემოდელირებაზე დოკა-მარილოვანი ექსპერიმენტული ჰიპერტენზიის დროს“
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი მათა ოკუჯავა
4. „ციტოკინების როლი ეპილეფსიის სხვადასხვა ფორმის დროს ზავშებში“
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი სოფიო ბახტაძე
5. „კოგნიტური გამოწვეული პოტენციალების მახასიათებლები და ყურადღების პარამეტრები ინტერნეტდამოკიდებულ ზავშებებსა და მოზარდებში“
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი სოფიო ბახტაძე
სამეცნიერო კონსულტანტი - პროფესორი ირინე კვაჭაძე
6. „პრო- და ანტიანთებითი ციტოკინების როლი კოვიდ-19-ით ინფიცირებულ პაციენტების დაავადების მიმდინარეობასა და სიმძიმის განსაზღვრაში“
სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ია ფანცულაია
პროფესორი ლევან რატიანი
7. „ენდომეტრიუმის მეტაპლაზიური პროცესების მოლეკულური, პროლიფერაციულ-აპოპტოზური თავისებურებები და ნეოპლაზიურ პროცესებად ტრანსფორმაციის რისკი“
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი გიორგი თევდორაშვილი
8. „გულის კუნთის მოდელირების განვითარების დინამიკა ალისკირენით და უპერიოთი გულის უკმარისობის პრევენციისა და მკურნალობისას არტერიული ჰიპერტენზიით და შაქრიანი დიაბეტით (ტიპი 2) დავადებულ პაციენტებში“
სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი რევაზ თაბუკაშვილი
9. „ელექტროენცეფალოგრამის ავტომატური ანალიზის პროგრამა ENCEVIS დიაგნოსტიკური ღირებულების შეფასება“
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ნათელა ოკუჯავა
სამეცნიერო კონსულტანტები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეი სანდერი (ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯი, ნიდერლანდების ეპილეფსიის ინსტიტუტი)

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ალ დე ვეერდი
(ნიდერლანდების ეპილევსიის ინსტიტუტი)

10. „თირკმლის უკმარისობის მქონე ხანდაზმულ პაციენტებში თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის გამოსავლის პრედიქტორების განსაზღვრა პაციენტთა მკურნალობის ოპტიმიზაციის მიზნით“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ირმა ჭოხონელიძე
პროფესორი გაიანე სიმონია

11. „ჰემოდალიზის პაციენტების ინფექციასთან ასოცირებული სიკვდილობის რისკის შემცირება გრძელვადიანი ჰემოდალიზის კათეტერის სანათურის ჩამკეტი ხსნარის გამოყენების გზით“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ირმა ჭოხონელიძე
ასოცირებული პროფესორი თამარ დიდბარიძე

12. „SARS-Cov-2-ის ზეგავლენა მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიაზე (მწთ) მყოფ ოპიოიდებზე დამოკიდებულ პაციენტთა ქცევით, ფსიქო-სოციალურ და ზოგიერთ ნეიროფიზიოლოგიურ პარამეტრზე“

სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი ხათუნა თოღაძე

13. „ავთვისებიანი სიმსივნური დაავადებების სამკურნალო იმუნური მაკონტროლებელი მოლეკულების ინჰიბიტორების (ი.მ.მ.ი) გავლენა ფარისებრი ჯირკვლის სტრუქტურასა და ფუნქციაზე“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი მარინა გორდელაძე
ასოცირებული პროფესორი ნინო ქიქოძე

14. „სარქვლოვანი ბრონქოპლოკაცია ფილტვების ტუბერკულოზის კომპლექსურ მართვაში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი კახა ვაჭარაძე

15. „მხრის ძვლის პროქსიმალური ბოლოს მოტეხილობის ქირურგიული მკურნალობის მეთოდების შედარებითი ანალიზი“

სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი ლევან ჩიკვატია
სამეცნიერო კონსულტანტი - პროფესორი თორნიკე ნოზაძე

16. „პილონიდური სინუსის ლაზერული ობლიტერაცია“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ლალი ახმეტელი
ასისტენტ-პროფესორი თეიმურაზ ივანიშვილი

17. „ბარეტის საყლაპავი: მეტაპლაზია–დისპლაზია–მალიგნიზაციის ეტაპების ფენოტიპური მახასიათებლები და პროგრესიის მარკერები“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი გაია თომაძე
ასოცირებული პროფესორი გიორგი დიდავა

18. „გულის მარცხენა და მარჯვენა პარკუჭის სტრუქტურისა და ფუნქციის დინამიკა ძუძუს კიბოს ქიმიოთერაპიის დროს“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი მიხეილ შავდია
პროფესორი ზურაბ ფალავა

19. „რემატოიდული ართრიტის მართვის ოპტიმიზაციის ასაკობრივი ასპექტები“

სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი ყარამან ფაღავა
სამეცნიერო კონსულტანტი - პროფესორი გიორგი სვანიძე

20. „რადიოლოგიური მეთოდების მნიშვნელობა საზოგადოებაში შეძენილი პედიატრიული პნევმონიის ვირუსული და ბაქტერიული ეტიოლოგიის დიფერენცირებაში, მკურნალობის ტაქტიკის და პროგნოზის განსაზღვრაში“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ივანე ჩხაიძე
ასოცირებული პროფესორი გრიგოლ ნემსაძე

21. „ბაქტერიული რესპირაციული ინფექციების ეტიოლოგია, ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობის პროფილი და მართვის ალტერნატიული სტრატეგია ჰოსპიტალიზებულ პედიატრიულ პაციენტებში“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ივანე ჩხაიძე
ბიოტექნოლოგიის აკადემიური დოქტორი ნინო ჯანელიძე

22. „ჰოსპიტალური და ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციასთან ასოცირებული მძიმე პნევმონიის ეტიოლოგია, რისკ-ფაქტორები და ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობა მულტიპროფილურ პედიატრიულ სტაციონარში“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი მათა ხერხელიძე
პროფესორი პაატა იმნაძე

23. „ვერცხლის ბიონანოპრეპარატების დიზაინი, ტექნოლოგია და ბიოლოგიური შეფასება“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ალიომა ბაკურიძე
პროფესორი დემეტ აქინი (საერთაშორისო უნივერსიტეტი - BAU, ბათუმი)

24. „საქართველოში მოზარდი გვარი *Primula*-ს ზოგიერთი სახეობის მეორადი მეტაბოლიტების ფიტოქიმიური შესწავლა და ბიოლოგიური შეფასება“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ლაშა მსხილაძე
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი კარენ მულკიჯანიანი
(ი. ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი)

25. „საქართველოში კულტივირებული *Yucca gloriosa* –დან წარმოებული ტიგოგენინის საფუძველზე ახალი აზოტმემცველი სტეროიდების სინთეზი და ფარმაცოლოგიური მოქმედების შეფასება“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ნანული ნადარაია
(ი. ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი)

26. „გვარი *Sympytum*-ის სახეობებიდან იზოლირებული ბიოლოგიურად აქტიური ფენოლური პოლიმერის ანალოგების სინთეზი და ბიოლოგიური შეფასება“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ლაშა მსხილაძე
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი მათა მერლანი
სამეცნიერო კონსულტანტი - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ვახტანგ ბარბაქაძე
(ი. ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი)

27. „საქართველოში მოზარდი *Astragalus bungeanus*-ის ფიტოქიმიური შესწავლა ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების გამოვლენის და მედიცინაში გამოყენების მიზნით“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი მერი ალანია

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ლია წიკლაური
(ი. ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი)

28. „საქართველოში კუჭის კიბოს დიაგნოზის მქონე პაციენტთა გადარჩენის პერიოდის და მასზე მოქმედი ფაქტორების როლის შეფასება თანამედროვე სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით“
სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ირაკლი მჭედლიშვილი
სამეცნიერო კონსულტანტი - მედიცინის აკადემიური დოქტორი ნატალია ჯანყარაშვილი

29. „მძიმე მეტალების გენერაციისა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მათი მოქმედების თავისებურებები“
სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი დავით თოფურია
ასისტენტ-პროფესორი მაია ციმაკურიძე

30. „ქ. თბილისის მოსახლეობის რადიაციული დატვირთვა, ონკოლოგიური ავადობა, შორეული შედეგების პროგნოზირება და მათი პრევენცია“
სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ნინო ვეფხვაძე
ასისტენტ-პროფესორი თეა ქოჩორაძე-მარლიშვილი

31. „ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი პარამეტრების მნიშვნელობა ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების პოლიტიკის განსაზღვრისათვის ქ. თბილისში“
სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ნინო კილაძე
ქიმიის აკადემიური დოქტორი ელინა ბაქრაძე
ასისტენტ-პროფესორი ანკე ჰუელსი (ემორის უნივერსიტეტი)

32. „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გავლენა შფოთვით აშლილობაზე საქართველოში“
სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ლევან ბარამიძე
მედიცინის აკადემიური დოქტორი ლელა სტურუა
პროფესორი კარლა ბერგი (ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი)

33. „თამბაქოს მოხმარების საწინააღმდეგო ინტერვენციების ეპიდემიოლოგიური, ქცევითი და სოციალური კორელანტები“
სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ლევან ბარამიძე
ასოცირებული პროფესორი ნინო კილაძე
პროფესორი კარლა ბერგი (ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი)

კონკურსი მოიცავს:

ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას,

ბ) გამოცდას სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (ტესტირება, გასაუბრება).

შენიშვნა: ინგლისურ ენაში გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც წარმოადგენენ სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2019 წლის 26 ნოემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს #23/12 დადგენილებით დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი

ღონისძიებების გატარების წესის“ პირველი მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრულ ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დონის მოქმედ სერტიფიკატს (<https://tsmu.edu/ts/content/2/50/12/30/0/0>).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება თსსუ-ის რექტორის სახელზე (დანართი 1);
2. განცხადება (სააპლიკაციო ფორმა) (დანართი 2);
3. შუამდგომლობა ბოლო სამუშაო ადგილიდან, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
4. უმაღლესი სამედიცინო განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/დიპლომის ასლი;
5. სამეცნიერო შრომების სია თანდართული პირველწყაროებით და ქსეროასლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. CV ან კადრების აღრიცხვის ფურცელი (სურათით და დადასტურებული ბეჭდით);
8. ფოტოსურათის (3×4) ელექტრონული ვერსია.
9. ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დონის მოქმედი სერტიფიკატის წარმოდგენა სავალდებულოა 35 წლამდე ასაკის იმ პირებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ კონკურსში მონაწილეობა მიიღონ სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2019 წლის 26 ნოემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს #23/12 დადგენილებით დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს ენების ფლობის საერთო ევროპული წესის (CEFR) შესაბამისად. ამასთან, TOEFL iBT – ის მინიმალური ზღვარი შეადგენს 79 ქულას, IELTS Academic-ის - 6.5-ს, „Cambridge English“-ის - 176 ქულას; სერტიფიკატი „Cambridge English“ გაცემული უნდა იყოს დოქტორანტურაში ჩარიცხვის დროისთვის ბოლო 2 წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ სერტიფიკატში „Cambridge English“ ქულა მითითებული არ არის, მაშინ დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს

სერტიფიკატი „Cambridge English: Advanced (CAE). ამასთან, სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს დოქტორანტურაში ჩარიცხვის დროისთვის ბოლო 2 წლის განმავლობაში (<https://tsmu.edu/ts/content/2/50/12/30/0/0>).

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საბუთები უნდა წარმოადგინონ 2021 წლის 19 აპრილიდან 19 მაისის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურში მატერიალური და ელექტრონული ფორმატით (pdf ფაილი) ელექტრონულ მისამართზე: n.vepkhvadze@tsmu.edu

განცხადების და სააპლიკაციო ფორმის ნიმუში თან ერთვის (დანართი 1; დანართი 2).

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურს, ტელ.: 254 24 66.